საქართველოს კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალი

# კომუნისტი

სამშაბათი, 14 სექტემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 150 მან.

ფასი 8 მან.

№ 43 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 43

მეორე ინტერნაციონალი გაკოტრდა და მოკვდა—სასაფლაოსკენ მისი ლეში!»
«მესამე ინტერნაციონალი აღორძინდა და ბრძოლაში ჩაება—გაუმარჯოს მას!»

«კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესი იმ „ინტერნაციონალს“, რომლის მკვდრეთით აღდგენას ცდილობს ბერნის კონფერენცია, შტრეიკბეხერთა ყ ვ ი თ ე ლ ინტერნაციონალად სთვლის, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ იარაღს ბურჟუაზიის ხელში.

კონგრესი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყონ წინააღმდეგ ყვითელი ინტერნაციონალისა და გააფრთხილონ ხალხის ფართე მასსები დაახლოვებისკენ ამ სიცრუის და სიყალბის «ინტერნაციონალთან».

კომუნისტ. ინტერნაციონალის 1 კონგრესის რეზოლიუციიდან.

## ჩვენ და ისინი

მკითხველი ქვევით წაიკითხავს ქუთაისის საკატორღო ციხიდან მოწერილ წერილს, რომელიც ნათლად მოწმობს ჩვენს მდგომარეობას საქართველოში. მენშევიკურმა მთავრობამ ერთხელ კიდევ შესძლო დატყუებითა და „დიპლომატიური ხრიკებით“ ფონს გასვლა: კომუნისტების ჩაჩუმება. ის დღეს ჩვენზე გამარჯვებას დღესასწაულობს.

მთავარი მტერი—კომუნისტური პარტია თითქო იმდენად დასუსტდა თავისი „ბრძნული პოლიტიკით“, უფრო კი უხეში რეპრესიული ზომებით, რომ დღეს მას იგი „უვნებელ ყოფილათ“ სთვლის. ამიტომ ისე „არხეინათ“ ეგებება იგი „თავის ძვირფასს სტუმრებს“. საქართველო კომუნისტებისაგან გაწმენდილი ეგულვება მას: რიგი ციხეებში ჰყავს მომწყვდეული, რიგი იძულებულ ჰყო, მიმალულიყო თვითონვე ჯურღმულებში, რიგი კიდევ საზღვარ-გარეთ გაისტუმრა, ხოლო დანარჩენებს „უვნებლად“ სთვლის და თანაც მათი არსებობით, როგორც მოხერხებული დიპლომატი, მარჯვეთ სარგებლობს. ის მათზე ქვეყანას უთითებს და ეუბნება: აი შეხედეთ რა ღმობიერ-სამართლიანია მენშევიკური მთავრობა რუსეთის ბალშევიკურ მთავრობასთან შედარებით. საქარ. მთავრობა იჭერს და სჯის მხოლოთ არალეგალურათ საქართველოში მომქმედ კომუნისტებს; დანარჩენებს კი სრულიადაც არ ეხება და ხელს არ უშლის ლეგალურათ მოქმედებაში. ამას, მათი აზრით, ჩვენში კომუნისტური გაზეთის არსებობა ამტკიცებს. „ჩვენ გაზეთის გამოცემის ნებას ვაძლევთ კომუნისტებს, მაშინ როდესაც რუსეთში ეს დიდი ხანია მენშევიკებისათვის მოსპობილიაო“, გაიძახიან ისინი და ალბათ ამ საბუთით ფიქრობენ თავი მოიწონონ და იამაყონ თავიანთი „ძვირფასი სტუმრების“ წინაშე.

მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტია, როგორც ამას ზემოთ დასახელებული წერილი მოწმობს, რა გინდ მაგარი ბორკილებით იყოს შებოჭილი, რა გინდ ჯოჯოხეთურ თვალთმაქციურ პირობებში ჩააყენონ ის, მაინც არ დაეცემა ის სულით და მოიკრებს ძალ-ღონეს მისთვის უსაშინელესს პირობებშიც კი და ციხეში გამომწყვდეულ ამხანაგების სახით ჩვენი მენშევიკების „ძვირფასს სტუმრებს“, ყვითელი მეორე ინტერნაციონალის გმირებს, ვითომდა „სოციალისტებს“ კითხვას დაუყენებს: თუ თქვენ მართალი ხართ, თუ თქვენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჭეშმარიტი „დემოკრატიზმის“ განხორციელებას ხედავთ, თუ თქვენ ზემოთ მოყვანილი სიტყვები და განცხადებანი სიმართლეთ და სინამდვილეთ გრწამთ, მაშინ გვითხარით, თუ ძველი სოციალისტების რამ კიდევ შეგრჩენიათ—რატომ არის, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა, რომელიც თქვენ ასე პირმცინარეთ და ბრწყინვალეთ გეგებებათ, ყოვლათ უსაბუთოთ, გაუსამართლებლათ ციხეებში ალპობს კომუნისტებს და იძულებულს ხდის მათ სიმშილით სიკვდილს მიმართონ; რატომ არის, რომ მისივე ნებართვით საზღვარგარ ეთ გასულ ქართველ კომუნისტებს სამშობლოში დაბრუნების ნებას არ აძლევს? ნუ თუ ეს ორი ფაქტი, სხვა ათასს რომ თავი დავანებოთ, არ აბათილებს და არ უარჰყოფს თქვენ მიერ აღიარებულ და თქვენ მიერ „სახარებათ“ გამოცხდებელ „დემოკრატიზმსო“? ცხადია რომ აბათილებს: დეკოკრატიზმი, თუნდა ბრჭყალებითაც ჯერ არავის სმენია, რომ გაუსამართლებლათ ვისიმე დასჯას ჰგულისხმობდეს!

საბჭოთა მთავრობა როცა სჯის თავის მოწინააღმდეგე დამნაშავეს, იგი წინასწარ ასამართლებს მას პროლეტარიატის დიქტატურის სახელით. ეს არის ჩვენი დემოკრატიზმი. თქვენ აღიარებთ ეგრეთ წოდებულ დემოკრატიის დიქტატურას, მაშასადამე დემოკრატიული მთავრობა თავის მოწინააღმდეგე—დამნაშავეს უნდა წინასწარ ასამართლებდეს, სანამ დასჯის, დემოკრატიის დიქტატურის სახელით, რასაკვირველია. ეს იქნებოდა თქვენი დემოკრატიზმი.

მაგრამ რას ვხედავთ?

სრულს წინააღმდეგობას და თქვენ კი გეფიცებიან ნამდვილი, უმწიკვლო დემოკრატები ვართო. ცრუობენ, სტყუიან, რომ თავიანთი სასიზღარი სახე ფერუმარილით შეთხუპნილი ლამაზათ და წარმტაცათ მოგაჩვენონ!

ჩვენ ვიბრძვით იდეისათვის გმირულათ, ვაჟკაცურათ, პირდაპირ და ხელაღებით; ხოლო ისინი გვებრძვიან ჩვენ ძალა-უფლების შენარჩუნებისათვის რეპრესიებით, ხრიკებით, გაიძვერობით და გველური მუხანათობით.

ჩვენი ბრძოლა წმინდაა, ვით მსოფლიო პროლეტარიატის კლასიური იდეა, ხოლო მათი ბრძოლა მღვრიე და წაბლიწულია, ვით ბურჟუაზიის გაუმაძღარი მსუნაგი სული.

მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლაც მოახლოვებულია ამ ორ მსოფლიო ლაშქარს შორის. პირველს სარდლობს მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი, ხოლო მეორეს „ანტანტა“, რომელსაც გვერდს უმშვენებს და ამაგრებს მეორე ყვითელი ინტერნაციონალი, რომლის „სახელოვან“ წარმომადგენლობას და ლიდერობას თქვენ კისრულობთ. დეე ჩვენი ბედიც ამ ბრძოლამ გადაჭრას.

## „ბურჟუაზიული ეკონომისტები და პარლამენტი საქართველოს მხსნელთა როლში“

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ.“ №№ 34 და 35)

ის ეკონომიური მოვლენაც, რომელიც ოქრო-ვერცხლის ბაზრის ფასს ისე სცვლის და არყევს, როგორათაც სხვა საზოგადო საქონელთა ფასებს, გვიმტკიცებს იმას, რომ ის თუმცალა სხვა საქონელთა შედარებით გადასაცვალი იარაღი—ეკვივალენტია დღეს, მაგრამ თვითონ ისიც განიზომება ბაზარზე მიწოდება—მოთხოვნის კანონით, რასაც დაგვიმტკიცებს კიდევ შემდეგი ისტორიული მოვლენა: მე-16-ე საუკუნეში, ოქრო-ვერცხლის რაოდენობა, რომელიც ევროპაში ტრიალობდა, გაიზარდა, ამერიკის აღმოჩენის გამო. მაშინ ოქროს და ვერცხლის ღირებულება სხვა საქონლებთან შედარებით დაეცა. (ცვლიდენ იმდენივე ოქრო-ვერცხლს, ვინემ წინეთ, უფრო ცოტა საქონელზე. ამას დაგვიმოწმებს შემდეგი ფაქტიც: ინდოელების ფული რუპი უდრის 2 ფრ. 50 სანტიმს. ვერცხლის წარმოების დიდად გავრცელების გამო რუპის ფასი დაეცა 1893 წელში 70 სანტიმამდე. ის მაინც იძულებით ტრიალობდა თავის ნორმალურ ფასობაზე ისე როგორათაც ჩვენი ბონი, მაგრამ ოქროზე გადაცვლის დროს კარგავდა თავის ღირებულების ორ-მესამედ ნაწილს. ამგვარივე მოვლენა მოხდა ამერიკაში, დანიაში, შვეციაში და სხვ. სადაც ამ ომის დროს ბლომად დაგროვდა ოქრო, რომელმაც დაკარგა ფასი (ისე, როგორც ჩვენმა ბონებმა), სხვა საქონელთან შედარებით.

ეკონომიურს კანონია ამ დახლართულ ლაბირინტში, რომელსაც ბურჟუაზიულ საზოგადოებას ვუწოდებთ, მოსჩანს დიდი მღვრიე ტბა თევზებით სავსე. მღვრიე ტბა უმთავრესი პირობაა თევზების მოსაახლოებლათ ადვილათ მათი დასაჭერათ. დაწმენდილ—ანკარა წყალში თევზი კარგათ ხედავს თავის მტერს და გარბის, თავს შველის. ამღვრეული ტბა, ან სადაც ის არაა, მისი ხელოვნურად ამღვრევა, აფორიაქება, ატალახება შეადგენს ბევრი პარლამენტიორ-ეკონომისტის მიზანს. მაშინ წარმომადგენლობითი სისტემის ხლართი, კანცელიარული ხვრელები, ბევრი კანცელიარიები, ბევრი პირმოთნეობა—ფარისევლობა, საერთოდ, ეს ისეთი ხლართია, რაშიაც ძალა უნებურად ვარდება შეუგნებელი ლოქო, ან შეუგნებელი ადამიანი. ამნაირ ზედმეტ ხლართებს ქმნიან საკანონმდებლო ფაბრიკებში, პრესაში და ეკონომიაში, რომლებიც ბურჟუაზიული ეგოიზმითაა დღეს გაჟღენთილი. აქიდან დაიბადა ფონდის დაარსების ბურჟუაზიული გეგმა, ეკონომიური საბჭოს შედგენის სურვილი. ესენი შექმნიან ზედმეტ კანცელიარიებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ უთუოდ „ვაჭრების უფლებების გაუმჯობესებას“. აი ამღვრეული ტბა, რომელშიაც ციმციმებს ჩვენი ბურჟუაზიის და მისი მასწავლებელთა საიმედო მიზანი, და მეტისმეტად დამალონებელია, ის, რომ ამ მღვრიე ტბას ასულდგმულებს შეუგნებელი მშრომელი მასის ოფლი და მაჯა. მაგრამ ცხოვრების განახლების საჭიროება თანდათან ბადებს და მალე თავს მოუყრის მშრომელი მასის შეგნებას, რომელიც ააფორიაქებს და მტვრად აქცევს ბურჟუაზიულ ქაოსს, „იურიდიულ ფორმაში ჩამოსხმას“, ავალიანის ბურჟუაზიულ აუდიტორიის აფერას, ქავჯანიძის ვაჭრების სალვთო დახლს, გიორგაძის კონსერვატორების დაყრუებას და ჩხენკელის ხავსმოკიდებულ მასწავლებლების პოლიტიკური სიბეცეს. „საქართველო“, „კლდე“, „სახალხოც“, გასაკვირი არაა, რომ ხმას აძლევენ თავის გულის ნადებს, ხელს უწყობენ და სულით და გულით ინაწილებენ ამ ბედნიერი მეთევზეების მიერ ტბაში გადასროლილ ბადეში მოხვედრილ ლოქოებს.

III.

ამ ეკონომიურ ნარკვევიდან ბუნებრივად გამომდინარეობს შემდეგი თეზისები:

1) ბურჟუაზიულ ხანაში ინდივიდუალიზმით აღტყინებული წარმოება თანდათან მოექცა მის მიერვე შექმნილს ანარქიულს *) ფორმაში. ომმა უფრო თვალსაჩინოდ დაგვანახვა შრომასა და კაპიტალს შორის გაღვივებულნი წინააღმდეგობანი. აქ ერთი-მეორეს ვერ ითმენს, ერთი-მეორის ანტიტეზია. ამიტომ მშრომელთა ენერგიის დაზოგვის გულის ივის, მასთან, საზოგადოების საარსებოთ გონივრულ წარმოების შექმნის მიზნით, საჭიროა ბურჟუაზიულ-ანარქიული მეურნეობის მოსპობა და საზოგადოებური წარმოების შექმნა.

2) საწარმოვო ძალთა განვითარება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხანაში, როცა კაპიტალს ხელუხლებლად ურჩება თავისი ძალმომრეობითი ტენდენცია, მისცემს მშრომელს, უმჯობეს პირობებში, მხოლოდ გარეგნულად წუთიერათ ცხოვრების გაუმჯობესობას, მაგრამ სოციალურად ისევ ისე კაპიტალისტურ ქსელში გახვეული დარჩება.

3) საწარმოვო-შემოქმედებითი ძალთა განვითარება საყოველთაო, სავალდებულო შრომის საფუძველზე დღეს, როცა, საზოგადოთ, დიდი საჭიროებაა, მისცემს მთელ საზოგადოებას გეომეტრიული პროგრესიის მსგავსად, უფრო მეტ და მეტ გაუმჯობესებულ საშუალებას, კარგად დაიკმაყოფილოს თავი: ბინით, ტანსაცმელით და საზრდოთი, რაც გამოიყვანს დღევანდელ საზოგადოებას დღეს და მომავალშიაც გასაჭირიდან.

4) ბურჟუაზიული ეგოიზმით გაჟღენთილია დღეს სხვა და სხვა კლასები, წრეები, პირები. ისინი არ დაუთმობენ ცხოვრების განახლების დიდ საჭიროებას უბრძოლველად, ამიტომ მუშათა და გლეხთა დიქტატურა ძველი ცხოვრების გამოსაცვლელად და ახალის შესაქმნელად შეადგენს ისტორიულ აუცილებლობას. მხოლოდ ის დახევს ბურჟუაზიულ ეგოიზმს და გადაიყვანს. დღეს ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასებს აუცილებლად საჭირო სოლიდარულ შრომის საფუძველზე.

5) მუშათა და გლეხთა შეერთებული დიქტატურის წამოყენებისთანავე საჭიროა დაუყონებლივ დამყარდეს წესების სოციალური უზრუნველ (გარანტიებს ყოფის მოსაწყობათ: ბავშვებისთვის, მოზარდ თაობისთვის, მშობიარობის დროს დედებისთვის, მოხუცთათვის, ავათმყოფთათვის, დავრდომილთათვის, განურჩევლად მიმართულება, სქესისა და ეროვნებისა. ეს აუცილებლად საჭირო, კაცთმოყვარე, და ზნეობრივი სოციალური საშვალება სწორ კალაპოტში ჩააყენებს კლასთა ბრძოლას და საერთო იმედს დაუსახავს საზოგადოებას კომუნიზმის დამარცხების საქმეში.

6) კომუნიზმი, ეს ის ძლიერი, სოციალური და ფილოსოფიური იდეალია დღეს, რომლის განხორციელების ხანა დადგა, წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმისა. ამიტომ მშრომელი კლასის გასპეტაკებული გონიერება, ლმოპიერი თვალი, მახვილი ყური და ფიზიკური ძალაც აქეთკენ უნდა იქნენ მიპყრობილი, რადგანაც კომუნიზმის განხორციელება დაიხსნის არა მარტო მშრომელებს, არამედ მთელ საზოგადოებას, მთელს კაცობრიობას, თავისივე მიერ შექმნილ სოციალურ უბედურება—ტრაგიზმიდან.

ი. კაკაბაძე.

*) ტერმინის უქონლობის გამო ვხმარობ „ანარქიულს“, მაგრამ, არა ანარქიზმის მნიშვნელობით, რომელიც განსაღვრულ საზოგადოებრივ მოძღვრებას ხატავს.

### „ახ. კომუნ.“ № 34 უმთავრესი შეცდომები.

მე-5 სვეტში, მე-32/33 სტრიქონში სწერია: „რევოლიუცია და ბურჟუაზია“, უნდა იყოს: „რევოლიუცია ბურჟუაზიულიაო“.

მე-7 სვ. 31 სტრ. სწერია: „თავზარდაცემული გაიყვანდა ხალხში“, უნდა იყოს: „თავზარდაცემული გაითქვიფა ხალხში“.

„ახ. კომუნისტის“ № 35-ში.

მე-9 სვ. ქვევიდან მე-3 და მე-2 სტრიქონში სწერია: „ჰია რად ძაძავს ხურასა? ხამს ხალი წაიხუროსა!“ უნდა იყოს: „ჰია რად ბაძავს ხუროსა? ხამს ხილი წაიხუროსა!“

მე-10 სვეტში მაღლიდან მე-51 სტრ. სწერია: „ეროვნული შრომის ინტერესის საფუძველზე“, უნდა იყოს: „ეროვნული შრომის ინტესივობის საფუძველზე“.

## ინტერნაციონალის გარშემო

### კომუნისტური ინტერნაციონალის მე 2 კონგრესი მოსკოვში.

### მესამე სხდომა.

(24 ივლისს საღამოს)

სხდომა იხსნება 10 საათზე.

ამხ. ს ე რ რ ა ტ ი: პრეზიდიუმი მუშაობის ისეთი წესის წინადადებას იძლევა, რომელიც შესამჩნევათ შეამოკლებს კამათს. დანიშნული იქნება 5 კომისია თერთმეტ-თერთმეტ წევრისაგან შემდგარი სხვა და სხვა თეზისების განსახილველათ. ყოველ დელეგაციას უფლება ექნება გაგზავნოს თითო წარმომადგენელი ყველა კომისიებში. პრეზიდიუმი ირჩევს წარმომადგენლებს კომისიებში დელეგაციების მიერ წამოყენებულ კანდიდატებისაგან. თითოეული კომისია ნიშნავს მომხსენებელს თავის წრიდან, და კონგრესი საბოლაოთ იხილავს საკითხს.

ამხ. პ ე ს ტ ა ნ ი ა: მე მგონია, რომ პრეზიდიუმის წინადადება ვერ არის სამართლიანი. მე წინადადება შემომაქვს სხვა და სხვა ეროვნებების დელეგაციებმა თვითონვე აირჩიონ წევრები კომისიაში.

ამხ. ს ე რ რ ა ტ ი: პრეზიდიუმი სიამოვნებით დათანხმდებოდა ამაზე, რომ ის ყველა დამსწრე დელეგატებს იცნობდეს; მაგრამ აქ არიან ბევრი ისეთები, რომლებსაც ჩვენ პირველათ ვხედავთ.

ამხ. პ ე ს ტ ა ნ ი ა: სწორეთ რომ პრეზიდიუმის აღიარების გამო, რომ ის საკმარისათ ვერ იცნობს დელეგაციის წევრებს, მე უფრო სამართლიანათ მიმაჩნია თვით დელეგაციებს დავაკისროთ კომისიაში წევრების არჩევის მთელი პასუხისმგებლობა.

ამხ. ს ე რ რ ა ტ ი: პრეზიდიუმი აირჩევს არა თვისების მახედვით, არამედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობის; თვისებაზე ნაციონალური დელეგაციები მიგვითითებენ.

ამხ. პესტანია: იქნება თუ არა მსჯელობა კანდიდატურების შესახებ?

ამხ. სერრატი: რასაკვირველია, კონგრესის გადაწყვეტილებაც სავსებით თავისუფალი იქნება. მე კენჭს ვუყრი პრეზიდიუმის წინადადებას.

პრეზიდიუმის წინადადება მიღებულ იქნა ხმის დიდი უმრავლესობით.

ამხ. სერრატი: მე ვაქვეყნებ რეგლამენტს.

კონგრესი იყოფა კომისიებათ, რომლებმაც უნდა გაარჩიონ თეზისები კონგრესის დღის-წესრიგის ძირითადი კითხვების შესახებ.

თითოეული კომისია 7—11 წევრისაგან შესდგება.

ყოველ ნაციონალურ დელეგაციას უფლება აქვს დანიშნოს თითო წარმომადგენელი თითოეულ კომისიაში.

პრეზიდიუმი საბოლაოთ ირჩევს წევრებს სხვა და სხვა კომისიებში.

თითოეული კომისია ნიშნავს მომხსენებელს, რომელიც მოხსენებას უკეთებს კონგრესს კომისიის რეზოლიუციის პროექტის შესახებ.

კომისიებმა უნდა დაამუშაონ და წარმოადგინონ რეზოლიუციები დღის წესრიგის შემდეგი კითხვების შესახებ:

1. პარლამენტარიზმი.
2. პროფესიონალური კავშირები.
3. ნაციონალური და კოლონიალური საკითხები.
4. აგრარული საკითხი.
5. კომუნისტურ ინტერნაციონალში შესვლის პირობები.
6. ახალგაზრდობის და ქალთა ორგანიზაციების წესდება.
7. თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და კომუნისტურ ინტერნაციონალის მიზან დანიშნულებანი.

ამხ. სერრატი: პრეზიდიუმმა მიიღო ამერიკის დელეგაციის შემდეგი დეკლარაცია:

„ვინაიდან ამერიკის კომუნისტურ მოძრაობის სრულ გაერთიანებას გვიკარნახებს რკინის აუცილებლობით გარემოება ჩვენ, ამერიკის კომუნისტურ პარტიის და მუშათა კომუნისტურ პარტიის დელეგატებმა, დავადგინეთ:

1) ვიმუშაოთ კონგრესზე, როგორიც ერთმა ჯგუფმა.

2) მივმართოთ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს, რათა მან სავალდებულოთ გაუხადოს დისციპლინის წეს-რიგით ყველა ელემენტებს, რომლებიც წინააღმდეგი იქნებოდენ სრული შეერთების, გაერთიანდენ ინტერნაციონალის საფუძველზე.

3) დაემორჩილონ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს გაერთიანების საკითხში". (ტაში),

შემდეგ კითხულობენ დეპეშას სამხრეთ აფრიკის საერთაშორისო სოციალისტური ლიგისაგან:

„სამხრეთ აფრიკის საერთაშორისო სოციალისტურ ლიგის წლიურ ყრილობაზე, რომელიც მოხდა ქ. იოგანესბურგში 4 იანვარს 1920 წ. ერთხმათ იქნა მიღებული მე-3 ინტერნაციონალთან შეერთების წინადადება. კავშირი დავიკავეთ ინგლისის სოციალისტურ მუშათა პარტიასთან და მისი საშუალებით ამხ. რუტგერსომთან ამერიკის ბიუროდან. მან გვირჩია მისი საშუალებით მოგვემართა თქვენთვის თხოვნით შეერთების შესახებ.

ამასთან ერთად გაახლებთ ჩვენს კონსტიტუციას და წესდებას, რომლებიც დაგარწმუნებს თქვენ, რომ ჩვენი პოლიტიკა სავსებით ეთანხმება ევროპის და მთელ მსოფლიოს კომუნისტური პარტიების პოლიტიკას. თქვენი თხოვნისთანავე ჩვენ დიდი სიამოვნებით მოგაწოდებთ უფრო სრულ განმარტებებს". (ტაში).

ამხ. სერრატი: წინადადება ეძლევა სხვა და სხვა ეროვნებებს დანიშნონ თავიანთი წარმომადგენლები კომისებში.

პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა დაამტკიცონ სამანდატო კომისიის შემადგენლობა. მასში შედიან: ამხ. ამხ. როსმერი, სერრატი, ბამბოჩი, ბუხარინი, რადეკი, რუდნიანსკი. წინადადება მიღებულ იქნა.

გრძელდება პროლეტარულ რევოლიუციაში კომუნისტურ პარტიის როლის საკითხის გარჩევა?

ამხ. დჟონ რიდი: მე წინადადებას ვიძლევი, რომ აგრეთვე ინგლისური ენაც იქნეს მიღებული კონგრესზე. აქ დამსწრეთ შორის უფრო მეტია ინგლისური ენის მცოდნე ვიდრე სხვა ენების. დაგვპირდენ ინგლისურ თარჯიმანს მაგრამ ჩვენ ის არ გვინახავს.

ამხ. სერატი: ჩვენ ვეცდებით დავაკმაყოფილოთ ამხ. რიდი თარჯიმანის მხრით. მაგრამ, როგორც მას უკვე არა ერთხელ განუცხადეს, პრეზიდიუმს არ შეუძლია მიიღოს ამხ. რიდის წინადადება კონგრესზე ინგლისურ ენის ოფიციალურათ აღიარების შესახებ.

რამდენიმე წუთით სხდომა წყდება. შემდეგ ხელახლა იხსნება ამხ. სერატის თავმჯდომარეობით.

ამხ. სერატი: ვაცხადებ სხდომას გახსნილათ. გასარჩევია მუხლი კომუნისტურ პარტიის როლის შესახებ. უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ: გავხსნათ ამ საკითხის შესახებ კამათი, თუ კენჭი ვუყაროთ პარდაპირ. პირადათ მე იმის მომხრე ვარ, რომ კენჭი ეყაროს, მაგრამ საბოლაო დასკვნა მაინც კონგრესს ეკუთვნის. აქვს თუ არა კიდევ ვინმეს წინადადება კამათის გაგრძელების შესახებ? მგონი, არავის. მაშასადამე შეუდგეთ კენჭის ყრას. ვით, ვინც თეზისების მომხრეა აქ მოყვანილ შესწორებით, ვთხოვ ხელი ასწიონ. ვინაა წინააღმდეგი? ვინ შეიკავა თავი? რეზოლიუცია ერთ ერთ ხმათ იქნა მიღებული. წინადადებას გაძლევთ შევწყვიტოთ სხდომა ნახევარ საათით რათა შეძლება მივცეთ დელეგაციებს შეადგინონ თავიანთი კანდიდატების სიები კომისიაში ასარჩევათ; შემდეგ ბიურო, განიხილავს რა სიებს, წარმოუდგენს კონგრესს ერთ საერთო სიას.

სხდომა სწყდება ნახევარ საათით.

სდომის გახსნისას ამხ. სერრატი აქვეყნებს კომისიების სიას.

ამხ. შანცკინი: მე შემომაქვს წინადადება საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობის შეცვლის შესახებ. წინადადებას ვიძლევი ორგანიზაციულ კომისიაში, რომელიც არჩევს საკითხს ახალგაზრდობის ინტერნაციონალის შესახებ, მოწვეულ იქმნენ კომისიაში წარმოდგენილ თეზისების ავტორები. საკვირველია, რომ ამ თეზისების ავტორები, მიუხედავათ მათი განცხადებისა, არ იყვენ მიღებული კომისიაში.

ამხ. ზინოვიევი: პრეზიდიუმი ფიქრობდა, რომ არჩეული იქნებოდა ორი სპეციალური ქვე-კომისიები ქალთა საკითხის და ახალგაზდობის ორგანიზაციის შესახებ. ამ ქვე კომისიებში უნდა შესულიყო არა ერთი და ორი, არამედ საგრძნობი რიცხვი წარმომადგენლებისა, როგორც ქალთა მოძრაობიდან, ისე ახალგაზრდობიდანაც. მე ვფიქრობ, რომ კითხვის ასეთნაირათ გადაჭრა ყველაზე უფრო მიზანშეწონილია და კონგრესიც შემოუერთდება ამას.

საკითხს კენჭს უყრიან. ბიუროს წინადადება მიღებულ იქნა სავსებით, უცვლელათ, ერთხმათ.

ამხ. ვანკოპი: ამხანაგებო, თუ მე სწორათ გავიგე აქ შემოტანილი წინადადება, გერმანიის დამოუკიდებელი და საფრანგეთის სოციალისტური პარტიები მოწვეული არიან მონაწილეობის მისაღებათ ჩვენს კომისიაში ინტერნაციონალში შესვლის საკითხის შესახებ. უნდა ვსთქვა, რომ მე არ მესმის ასეთი წინადადება და ჩემი პარტიის სახელით მივდივარ მის წინააღმდეგ. ჩვენ შევიტანეთ უკვე აღმასრულებელ კომიტეტში წინადადება იმის შესახებ, რომ ორივე ეს პარტიები, არ არიან რა კომუნისტები, არ ითვლებოდენ კონგრესის შემადგენლობაში. ჩემი პარტია ფიქრობს, რომ ჩვენ არაფერი სალაპარაკო არა გვაქვს დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიასთან (U. S. P.), რომელიც შედის რეიხსტაგის პრეზიდიუმში, ვინაიდან ჩვენ არ შეიძლება არავითარი საერთო რამ გვქონდეს მმართველ პარტიასთან. რამდენიმეთ სხვანაირად არის საქმე საფრანგეთის პარტიის მიმართ; მართალია ცოტათი, მაგრამ მაინც უკეთესათ. მე არ გამოვსთქვამ აქ ჩვენს თვალსაზრისს ამ პარტიების ინტერნაციონალში მიღების საკითხის შესახებ: ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი. მაგრამ მე საერთოდ წარმოდგენილი მაქვს, რომ საკითხი ასეთ პარტიების ინტერნაციონალში მიღებაზე შეიძლება დაისვას და გაირჩეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი მხრიდან ოფიციალური განცხადება იქნება ამის შესახებ; სწორეთ ასევე აქ, ამ კონგრესზე დასწრების უფლებაც შეიძლება მიეცეს ასეთ პარტიებს და მათ დელეგატებს მხოლოდ მათი თხოვნის შემდეგ კომუნისტურ ინტერნაციონალში დაშვების შესახებ. მაგრამ ასეთი განცხადების შესახებ ჯერ-ჯერობით არაფერი არ ვიცი, არაფერი არ გამიგონია, და გამოვსთქვამ ჩემს აზრს მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეთები შემოვა. ჯერ-ჯერობით ჩვენ არ ვიცით, შემოვიდა თუ არა ჩვენთან განცხადებები ორივე პარტიების მხრიდან მესამე ინტერნაციონალში მათი მიღების შესახებ. მაგრამ, თუ კი ამგვარი წინადადება შემოვა დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიის მხრიდან,—ის, უეჭველად, უარყოფილ უნდა იქნას. არ შეიძლება ერთათ მუშაობა მართველ პარტიასთან. რაც შეეხება საფრანგეთის პარტიას, უპირველეს ყოვლისა ხელთ უნდა გვქონდეს მისი განცხადება. ხოლო ასეთი თუ კი არა გვაქვს, მაშინ როგორ შეიძლება დავუშვათ ჩვენ კომისიაში მონაწილეობის მისაღებათ ის პარტია, რომელიც ჩვენ არ გვეკუთვნის, არა-რევოლიუციონური და არა-კომუნისტურია? მე წინადადებას ვიძლევი არ დავუშვათ ეს პარტია ჩვენს კომისიაში მონაწილეობის მისაღებათ.

ამხ. რადეკი: ამხანაგებო, დამოუკიდებელ პარტიის (U. S. P.) დელეგატების მანდატები დამტკიცებულია სამანდატო კომისიის მიერ სათათბირო ხმის უფლებით. მაგრამ მას, რომელსცა სათათბირო ხმის უფლება აქვს, შეუძლია და კიდევაც უნდა იცოდეს, თუ როგორი პირობებში შემოდის ის საერთაშორისო გაერთიანებაში· სხვათა შორის, ფორმალური თვალსაზრისითაც განცხადებაზე დამყარება ეწინააღმდეგება საღ ადამიანურ ლოგიკას. თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რომ ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ დამოუკიდებელ პარტიასთან (И. S. P.) მისი შემოსვლის შესახებ მე-3 ინტერნაციონალში. თითოეულმა იცის, რომ მილიონი გერმანელი მუშები, რომლებიც ამ პარტიის უკან დგანან, დაჟინებით შეუწყნარებლათ იბრძოდენ მე-3 ინტერნაციონალში შემოსასვლელათ, როდესაც ეს მომსხო მუშათა მასები გვიგზავნიან ჩვენ აქ თავის დელეგატებს იმისთვის, რომ იმათმა ჩვენთან ერთათ განიხილონ მე-3 ინტერნაციონალში შემოსასვლელი პირობები,—ჩვენ არა თუ არასაკადრისათ მოვიქცეოდით ამ დელეგატების მიმართ, არამედ მათ გამომგზავნელ გერმანელ მუშათა მასების წინააღმდეგაც კი წავიდოდით, რომ დავთანხმებულიყავით ამხ. ვანკოპის წინადადებაზე. თავის თავად ცხადია, რომ დამოუკიდებელ პარტიის დელეგატებს შეძლება უნდა ქონდეთ გაგვაცნონ ჩვენ არა მარტომ ის, თუ რა სურთ მათ, არამედ თავის დროზე გვიგონ ისიც, თუ რა გვსურს ჩვენ. ამას გარდა, მე-3 ინტერნაციონალში შემოსვლა სრულიადაც არ ხდება ისე, როგორც ეს წარმოდგენილი აქვს ამხ. ვანკოპს: „ბრალდებულო, რა გაქვს სათქმელი თავის გასამართლებლათ?" ეს თავისებური ხელშეკრულობითი აქტია გაერთიანების მოსურნე პარტიებს შორის. გამოვდივარ რა ამ თვალთსაზრისიდან, მე წინადადებას ვიძლევი უარვყოთ ამხ. ვანკოპის წინადადება.

(შემდეგი იქნება).

# ბიულეტენი პრესბიუროსი

### რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

**ამხ. ტროცკის სტატია.**

**მოსკოვი**, 13 სექტ. ამხ. ტროცკი თავის სტატიაში: „ჩვენ ეხლა უფრო ძლიერი ვართ, ვიდრე წინათ ვიყავით"—სწერს: „ვარშავიდან ჩვენს უკან დახევას მტრის, მთელი ქვეყნის ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს, როგორც ჩვენს სრულს განადგურებას. გუშინ, პანიკა მოცული, გზაკვალ აბნეული, მტირალი, პოლონეთის ხალხის მჩაგვრელები—დღეს გაბრუებულნი არიან იმ გამარჯვების გამო, რომელიც მათ მოიპოვეს. პოლონეთის დელეგაცია მინსკში შეეცადა დაეწყო ჩვენთან გამარჯვებულის კილოთი ლაპარაკი, როგორც იმ დღეებში, როდესაც პილსუდსკი და მისი მინისტრი პატეკი ბრძანებას აძლევდენ საბჭოთა მთავრობას თავისი დელეგაცია გამოეგზავნა ბარისოვში. მაგრამ ეხლა მსოფლიო ბურჟუაზიის ზეიმის ტალღები უკვე თავის კალაპოტში დგებიან, და გარეთ კი რჩება საქმის ნამდვილი ვითარება. როდესაც ჩვენ თავის დროზე დაჟინებით მოვსთხოვეთ პოლონეთის მთავრობას—ზავი, მაშინ დასავლეთ ფრონტის შტაბი იმყოფებოდა სმოლენსკში, პოლოცკი კი ზარბაზნების ცეცხლის ქვეშ იმყოფებოდა, პილსუდსკის არმია შეტევაზე გადავიდა და დაიკავა კიევის რაიონი. ამ შემოტევას, რომელიც არაფრით არ იყო გამოწვეული, ჩვენ კონტრ-შეტევით ვუპასუხეთ. შეუდარებელი სულიერი აღფრთოვანებით ჩვენმა წითელმა ჯარებმა გასწმინდეს პოლონელების მიერ დაკავებული უკრაინის ადგილები, გაანთავისუფლეს ბელორუსია, ლიტვა და ღრმათ შეიჭრენ პოლონეთში. დასავლეთ ფრონტის არმიამ გაიარა 500—600 ვერსი და მტრის ხელ-ახალი შემოტევის დროს კი უკან დაიხია 200 ვერ. ეხლა კი გამოელიათ შემონახული ძალა და გაჩერდენ თეთრ პოლონეთის ჯარები. წითელ არმიამ თავი მოიყარა ახალ პოზიციებზე, აღადგინა თავისი აპარატები და ეხლა უფრო ძლიერია ის, ვიდრე ოდესმე იყო. ძველი რაზმები, რომლებიც გამობრძმედილნი არიან საბჭოთა რუსეთის ყველა ფრონტებზე ბრძოლაში, უკვე გონს მოვიდნენ განვლილ დამარცხების შემდეგ და უფრო ძლიერათ შეკუმშენ თავისი რიგები.

# ვინ არიან ისინი?

დღეს ბათუმის ნავთსადგურში შემოვა გემი „ფრანც ფერდინანდი", რომლიდანაც გადმოსხდებიან და საქართველოს ნიადაგზე ფეხს დადგამენ კარლ კაუცკი, ემილ ვანდერველდე, პიერ რენოდელი, კამილ გიუისმანი, რამზაი მაკდონალდი, ტომას შოუ, მისს სნოუდენი და სხ.

ვინ არიან ეს უცხო სტუმრები? ქართველ მენშევიკების რწმუნებით ესენი არიან ევროპის სოციალისტური პროლეტარიატის წარმომადგენლები, მისი სიამაყე და დიდება,—კიდევ მეტი,—ისინი არიან მათი რწმუნებით რევოლიუციონური მარქსიზმის საუკეთესო მოციქულები. მისი პრინციპების გამომსახველ-მატარებელნი. და აი ეს მარქსიზმით მძიმეთ დატვირთულნი ემისარები „საერთაშორისო სოციალიზმისა" მოდიან საქართველოში, სადაც მათ ეგებებიან ქართველი მენშევიკები, სოც.-რევოლიუციონერები, ფედერალისტები და დაშნაკცაკანები, ეგებებიან როგორც საუკეთესო ბელადებს მეორე ინტერნაციონალისას.

ჩვენ უკვე ვიცით ამ ინტერნაციონალის ჟენევას კონგრესის მაგალითზე თუ რათ იქცა ეს ინტერნაციონალი როგორც რაოდენობით ისე თვისებით. როგორც შარაგზაზე მდგომ მიტოვებულ და გაპარტახებულ ტრაქტირის შენობაზე ვივესკას კიდევ დიდხანს აქანავებს ქარი, ისე ჟენევის კონგრესს ვივესკის მეტი აღარაფერი შერჩენია მარქს-ენგელსის ნაკალატოზებ ინტერნაციონალისაგან. დარჩა ვივესკა, ხოლო შინაარსი, ის რევოლიუციონური ალგებრა, ის მიუვალ მძვრელი პრინციპები, რომლებითაც საერთაშორისო რევოლიუც. პროლეტარიატი ბურჟუაზიულ ქვეყნის გადაბრუნებას ემზადებოდა, გარყვნეს, ტალახსა და სისხლში ამოსვარეს, ბურჟუაზიულ ქარს გაატანეს. სადაა კლასობრივი, შეურიგებელი სამოქალაქო ომი და მისი დაუბაგვირგვინებელი პროლეტარული დიქტატურა, რაიც მარქსიზმის რევოლიუციონურ მოძღვრების მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს? ის ბურჟუაზიასთან კოალიციის, მასთან „საღვთო კავშირის" ბინძურ ჭუჭყში ამოსვარეს. სადაა სოციალისტური რევოლიუციის მოელვარე მიზანი, რომელიც ერთად-ერთი გზის მანათობელი, მიმზიდველი და ბრძოლის სავანი უნდა ყოფილიყო მუშათა კლასისთვის? ისიც ბურჟუაზიულ რეჟიმის სამსხვერპლოზე შესწირეს ზვარაკათ. სადაა პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და საერთაშორისო სოლიდარობა? ის ზარბაზნების გრიალში დავიწყებას მისცენ და გაჟლეტილ პროლეტარების გვამების ხროვაში ჩაფლეს! ვინ მოსთვლის ბოლომდის იმ სისაძაგლეს, იმ ბოროტება-ავაზაკობას, რაც ომის განმავლობაში და მის შემდეგაც მოხდა მეორე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, მისი გამცემ ბელადების ლოცვა-კურთხევით? მთელი მსოფლიო გაჟღენთილია ყველა ქვეყნების მშრომელთა უდანაშაულოთ დაქცეულ სისხლთან ერთად იმ ჯოჯოხეთური პირმოთნეობით და ფარისევლობით, რის ნაკადების სათავემ მეორე ინტერნაციონალის ოფიციალურ წრეებში ამოხეთქა წყეული იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე და წარყვნა ყოველი ის წმიდათა-წმიდა, რაც კი მარქსიზმის და მის დროშის ქვეშ მდგომ საერთაშორისო პროლეტარიატის საუნჯეში იმყოფებოდა.

აი რა ინტერნაციონალის ბელადები ესტუმრებიან დღეს საქართველოს ნაციონალ-სოციალისტებს, აი ვის ჩაეკრებიან და ჩაიკრავენ გულში ჩვენებური მენშევიკ-ფედერალისტ-დაშნაკელები!

მაგრამ შეიძლება მათი სტუმრები როგორც პიროვნებანი, დიდათ განსხვავდებიან იმ სოციალისტურ გეშეფტმახერებისგან, იმ მოჭახრაკე აგენტებისგან, რომლის მოარული ტიპი გამოვიდა სათარეშოდ იმპერიალისტურ ომის დროს მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელთა წრეებიდან? მივმართოთ მათ და გავიხსენოთ ზოგი მათგანის მაინც თავგადასავალი; რანი იყვენ ომამდის, რა ფერისცვალება განიცადეს ომის გამო, და რად იქცენ ახლა.

**კ. კაუცკი.**

აი სახელი, რომლის გაგონებაზე წინეთ სასიხარულოთ ატოკდებოდა ხოლმე გული ნამდვილი რევოლიუციონერის, ჭეშმარიტი მარქსისტის და პროლეტარული საქმისათვის მებრძოლის. და აი სახელი, რომლის გაგონება ახლა იწვევს სრულ წინააღმდეგ გრძნობებს. ენგელსის სიკვდილის შემდეგ ყველასგან ცნობილი და აღიარებული თეორეტიკოსი მარქსიზმის, უდიდესი ავტორიტეტი მეორე ინტერნაციონალის, შეურიგებელი მებრძოლი წინააღმდეგ რევიზიონიზმისა, წინააღმდეგ ოპორტუნიზმისა და ბურჟუაზიულ პარტიებთან თანამშრომლობისა, პროლეტარიატის მხმობელი სოციალისტურ რევოლიუციისაკენ, შეურიგებელ კლასთა ბრძოლისაკენ ბურჟუაზიული წყობილების ნანგრევებზე პროლეტარული დიქტატურის დროშის ასამართავად — დღეს ის დაჩაჩანაკებული მქადაგებელია კლასთა შერიგების, კაპიტალისტური წყობილების ცხოველმყოფელობის, და რევოლიუციის უნაყოფობის. 1910 წლიდან იწყება მისი გადახრა მარჯვნით. მისი წიგნი — „გზა ძალაუფლებისაკენ", სადაც ის მოუხმობს სოციალისტურ რევოლიუციის მოსახდენათ, სადაც ის ამტკიცებს, რომ სოციალისტური რევოლიუციის ხანა უკვე დადგა და რომ ნაადრევი რევოლიუცია უკვე შეუძლებელიაო,—ეს წიგნი მის გედის სიმღერა შეიქნა. მას შემდეგ მოკვდა კაუცკი—მარქსისტი, კაუცკი—რევოლიუციონერი. ის თანდათან დაეშვა ოპორტუნიზმის მოლიპულ გზაზე, რათა ომის დაწყებისას—რაც მისი წინანდელი მტკიცებით ნიშანი პროლეტარიატისათვის უნდა ყოფილიყო სოციალისტური რევოლიუციის დასაწყებათ,—განიცადა ისეთი გაკოტრება, არ განუცდია თვით გ. პლეხანოვს. ყოვლის დამთმობი მარჯვნივ, შეურიგებელი მარცხნით, მარქსისტული დებულებებით გამამართლებელი გარედან შეიდემანის შაიკის თარეშის და ავაზაკობის. ბოლოს ის გარიყული დარჩა იმ დამოუკიდებელ სოც.-დემ. პარტიის მიერაც, რომლის დაარსებაში ის ვითომდა მხურვალე მონაწილეობას იღებდა. დღეს კაუცკი მარტოხელაა, კენტათ დარჩენილია. არც გერმანიაში და არც ავსტრიაში, სადაც მას გაუტარებია ათეული წლები ბრძოლის და მოქმედების, მას მიმდევარი არ ყავს, ის უთვისტომოა. ასეთივე კოტორია ის საერთაშორისო ასპარეზზედაც, სადაც კი მუშათა მოძრაობამ მიაგნო თავის ბუნებრივ რევოლიუციონურ კალაპოტს.

**ე. ვანდერველდე**

აი ტიპი ე. წ. ადვოკატური სოციალიზმის. კარგათ მიბმული ენის პატრონი, მარქსიზმის წვეტიან რევოლიუციონურ მოძღვრების ზემოთ მფრინავი და მოსრიალე, რევიზიონისტი და ოპორტუნისტი ის სათავეში მოექცა მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს. და იფეთქა თუ არა ომმა, რომ

ახალი, დამხმარე ძალები ფართო ნაკადივით შედიან ძველ დივიზიებში; მოხალისე კომუნისტები, პროფესიონალური კავშირების წევრები უდგიან წინამძღვრათ ახალ დამხმარე ძალებს, ამხნევებს მათ და უნერგავს გულში გამარჯვების იმედს.

სამხედრო ფრონტის ხაზი მდებარეობს ეხლა ვარშავიდან 400 ვერსით უფრო ახლოს, ვიდრე ეს იყო პოლონელების შემოტევის წინა ხანებში.

ასეთია მთელი ჯამი, ასეთია შედეგები. შლიახტის პოლონეთს ჩვენ დიდი ზიანი მივაყენეთ და ჩვენ ეხლა, ვიდრე ოდესმე ვერ ვგრძნობთ, რომ ჩვენ შეგვიძლია უფრო მძლავრი რისხვა დავატეხოთ მტერს თავზე, ვიდრე ეს პირველათ ვქენით. ჩვენ ეხლა უფრო ძლიერი ვართ, ვიდრე ოდესმე ვიყავით და ჩვენ ეხლაც ყოველ საათობით ვძლიერდებით. მთელს ფრონტზე სწარმოებს მაგარი, ერთგული მუშაობა. ერთი საათი არ უნდა იქნეს დაკარგული და არც იქნება კიდეც დაკარგული. დასავლეთის ფრონტი გადუხდის თავის ვალს, მის შემქნელ მუშათა და გლეხთა რუსეთს".

### მოლაპარაკება რიგაში

თავად საპეგამ ჩიჩერინს ტელეგრაფით აცნობა, რომ პოლონეთის დელეგაცია მზათაა რიგაში წასასვლელად და ზავის საბოლოოთ ჩამოსაგდებათ ყოველივე უფლებით არის აღჭურვილიო.

### ამბოხება სამხედრო გემზე

**ბათომი,** 10 სექტემბერი. ყირიმის გაზეთი „იუგ-როსიი" სწერს: „სამხედრო საველე სასამართლოში გაირჩა საქმე ტრალერ „ჩურუბაშის" მატროსების— ა. იაცენკოს და გ. გულიევის.

ამაწლის ივნისში ვარნაში დგომის დროს ხსენებულმა მატროსებმა განიზრახეს გემის ხელში ჩაგდება. გამოემუშავებიათ შემდეგი გეგმა: როგორც კი გემი ზღვაში გავიდოდა, შეთქმულებს შეებორკათ ოფიცრები, წინააღმდეგობის გაწევას თუ გააპირებდა—კიდეც დაეხოცათ, აღემართათ წითელი დროშა და გემი „ჩურუბაში" მიეყვანათ ბალშევიკებთან.

მაგრამ, რასაკვირველია, ამისთვის საჭირო იყო წინასწარ კამანდის მომზადება, და დამნაშავეებმა რამდენიმე დღის წინათ გამართეს ენერგიული აგიტაცია მატროსებს შორის. აგიტაციამ ვერ გამოიღო ნაყოფი. აგიტატორები შეპყრობილ იქმნენ. სამსჯავრომ ორივეს დახვრეტა მიუსაჯა, რაც დამტკიცებულ და სისრულეში მოყვანილ იქმნა.

### პოლონეთში.

**ნაუენი,** 11 სექტ. პოლონეთის ანტისემიტური მიტინგები, რომლებიც იმართება ქალაქებში და სოფლებში, აცხადებს, რომ პოლონეთის ხალხი თვით გაუსწორდება თავის მტრებს—ებრაელებს, ამისთვის მთავრობა ფრიად სუსტი აღმოჩნდება.

დახმარება ებრაელებს შეუწყდება.

არის ცნობები თეთრი ტერორის გამო პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში განხეთქილების შესახებ

### იმპერიალისტების თავგასულობა.

**მოსკოვი,** 12 სექტემბერი. საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი ამხ. შლიაპნიკოვი—დაატუსაღა შვეციის მთავრობამ, როდესაც ის (შლიაპნიკოვი) გამოდიოდა სტოკგოლმიდან — რეველში. შლიაპნიკოვი მოათავსეს ციხის ცალკე განყოფილებაში.

### პროფესიონალური კავშირების დელეგაცია.

**მოსკოვი,** 12 სექტ. საბჭოთა რუსეთის პროფესიონალური კავშირების დელეგაცია ჩავიდა ნორვეგიაში, რომელსაც ქ. ქრისტიანიაში მიეგებნენ ნორვეგიის პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლები. ნორვეგიაში ყველგან კარგათ ხვდებიან ჩვენს წარმომადგენლებს. ნორვეგიის მუშები ღრმა პატივის ცემას გამოხატავენ საბჭოთა რუსეთისადმი.

### მუშათა მოძრაობა იტალიაში.

**მოსკოვი,** 12 სექტ. იტალიის მუშების ბელადებმა დაადგინეს, თუ რომ მუშების მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული, იმ შემთხვევაში მთელი იტალიის მუშათა კლასი აჯანყდება არსებულ მთავრობის წინააღმდეგო. მუშებმა ხელში ჩაიგდეს სხვა და სხვა წარმოებები.

### პოლონელები არ ეხმარებიან ვრანგელს.

**მოსკოვი,** 12 სექტ. რადგან პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის განახლდა საზავო მოლაპარაკება, ამიტომ მოკავშირეთა რჩევით პოლონეთი უარს ეუბნება ვრანგელს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მასთან შეერთებაზე.

— —

## უკანასკნელი ცნობები

11 სექტემბერი.

### ოპერატიული რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსავეტის" საველე შტაბისა.

### პოლონეთის ფრონტი.

გროდნოს რაიონში ჩვენ დავიკავეთ დაბა კუზნიცა და პუნქტების რიგი გროდნოს სამხრეთ აღმოსავლეთით 15 ვერსზე.

ვოლკოვიცის რაიონში ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები და წამოვიღეთ ტყვიის მფრქვეველები.

მოწინააღმდეგის შემოტევა რკინის გზის ჩრდილოეთით 16 ვერსზე მოვიგერიეთ.

ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში ბრძოლები გრძელდება. მტრის შემოტევა ოპალინის სამხრეთ აღმოსავლეთით 15 ვერსზე ჩვენ მიერ მოგერებულია. ჩვენ დავიპყრეთ ერთი სოფელი გრუბეშოვის აღმოსავლეთით 6 ვერსზე.

ლვოვის რაიონში სისტიკი ცვალებადი ხასიათის ბრძოლები გრძელდება.

როგატინის რაიონში ქ. როგატინოს ასაჰერათ ბრძოლები სწარმოებს.

12 სექტემბერი.

მოწინააღმდეგის ცდა მდ. სვისლოჩზე გადმოსვლისა ჩვენ უკუ ვაქციეთ.

ბელოვეჟის ულრან ტყის რაიონში ჩვენდა სასარგებლოთ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

კობრინის დასავლეთით სადგური ჟაბინსკის დასაჭერათ გრძელდება ბრძოლა.

ვლოდავის და ხოლმის რაიონებში გრძელდება ბრძოლები მოწინააღმდეგესთან, რომელიც გადმოვიდა დასავლეთ ბუგის მარჯვენა ნაპირზე.

მოწინააღმდეგე, რომელმაც წამოიწია როგატინოს აღმოსავლეთით, ჩვენი ნაწილების მკაცრი შეტევის გამო იხევს ჩრდილო-დასავლეთისკენ.

ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს პოზიციები მდ. გნილაია ლიპის მარცხენა ნაპირებზე.

## სახალხო მეურნეობა საბჭოთა რუსეთში

### საპნის წარმოება პეტროგრადში.

15 ივნისიდან მუშაობა დაიწყო ყოფილ ჟუკოვის საპნის ქარხანამ, რომელიც გაჩერებული იყო ქონის უქონლობის გამო.

თვის მეორე ნახევარში განზრახულია 5000 ფუთი საპნის დამზადება, შემდეგში ქარხნის თვიური წარმოება ავა 10—12 ათას ფუთამდე, წარმოების ამაზე ზევით აყვანა შეუძლებელია, რადგან ნედლი მასალის უქონლობას ზედ ერთვის სათბობი მასალის ნაკლებობაც. მუშათა რიცხვი ამ ქარხანაში ამ ჟამად 100 კაცამდეა.

ამ დღეებში დიდი ხნის შეჩერების შემდეგ დაიწყო მუშაობა ქართობილის სამთლის ნევის ქარხანამაც. ომამდი ეს ქარხანა უმთავრესად სამთლებს ამზადებდა. ახლა კი ის დაამუშავებს მხოლოდ საპონს 5.000 ფუთამდე თვეში. თავისი მოწყობილებით ნევის ქარხანა ერთ საუკეთესოთაგანათ ითვლება მთელ რუსეთში და რასაკვირველია, იქ შეიძლება წარმოების მეტის მეტად გაფართოება. საერთოდ ამ-ორ ქარხანაში ივლისის განმავლობაში განზრახულია 15—20 ათას ფუთი საპნის დამზადება.

ქონის ნივთიერებას ორივე ქარხნებს მიაწვდის ქარხანა „სალოლინ"-ი, უკანასკნელი ახლა ათავებს 8,000 ფუთი მცენარეულობის ზეთის გადამუშავებას და ელის ქონის დიდ პარტიას რომლისთვისაც სახალხო მეურნეობის პეტერ. საბჭოს მიერ გაგზავნილია „ტალკაჩები" სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზებზე.

სალოლინის ზეთის დამზადების გარდა ქარხანა „სალონინი" ამზადებს საპნის ფხვნილსაც, ახლა საპნის ფხვნილის წარმოება შემცირდა. სიაში დამზადებულ იქნა 4 ათასი ფუთი (ზამთრის თვეებში 6-7 ათასი ფუთი თვეში) და ალბათ ამდენივე და მზადდება ივნისის განმავლობაში; ფხვნილის მომარაგების ნაღდი რაოდენობა 1 ივნისისათვის იყო 14 ათასი ფუთი, ხოლო საპონი ამავე თვეში 10 ათასი ფუთი.

### ნავთსადენის გაყვანა.

სარატოვში ეწყობა სამართველო ნავთსადენის გაყვანის მიზნით—ემბა-სარატოვი ურალი. გაყვანა განზრახულია ორ რიგათ: პირველად ნავთის სამრეწველოდან ურალის მარჯვენა ნაპირამდის. ნავთსადენი გაყვანილ უნდა იქმნეს 4—5 თვეში 200—250 ვერსი სიგრძით, მეორე რიგში კი ურალიდან სარატოვამდე 500 ვერსი სიგრძით. სარატოვში აგებულ იქნება ქარხანა ნავთის გადასამუშავებლად.

### ელექტროფიკაცია სოფლებში

სოფ. მედიანიკოში (ვოლსკის მაზრა) გლეხების მეცადინეობით და ადგილობრივი სამაზრო აღმასკომის ხელმძღვანელობით მოეწყო ელექტრონული განათება წყლის წისქვილიდან. განათებულია: შკოლა, საბჭო და გლეხების ოთხი სახლი. მთელი სოფლის ელექტრონით განათება კი ფერხდება მავთულების უქონლობით, მიუხედავათ საერთო სურვილისა და გლეხების მიერ საწევრო ფულების სიამოვნებით შემოტანისა.

სოფ. ბეროზოვკაში (გალიჩსკის მაზრა) მექანიკური წისქვილიდან ცხრა დღის განმავლობაში დაამთავრეს ელექტრომოტორის დადგმა და მავთულების ქსელის გაბმა: საღამოს ელექტრონმა გაანათა მთელ სოფელში ყველა ქოხები.

ქ. კალუგაში უკვე ორი წელიწადია ქუჩები არ განათლებულა, კერძო მომხმარებელთათვის ელექტრონის ძალას თან და თან ამცირებან. კალუგის გუბერნიის მაზრებში კი პირიქით, ყველგან აწყობენ ელექტრონით განათებას. ასე ქალაქმა მედინმა, დაბა მატლევომ და ფაბრიკების სოფელმა კონდაროვომ (ედინსკის მაზრა) გაიყვანეს თავისთვის ელექტრონი, რისთვისაც დადგეს ერთი საერთო მანქანა, რომელიც იძლევა ტოკს 7 ვერსის მანძილზე.

სამაზრო ქალაქ ლიხვინში უკვე ამთავრებენ განათების გასაყვანათ სამუშაოს. ქ.ქ. მოსალსკში და მეშოვსკში ასეთი სამუშაობებია განზრახული; მთელ რიგ სოფლებში კი, როგორც მაგალითად, სოფ. კულაშევში, ბობროვში და სხ. უკვე დასრულებულია წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა.

8 მარტს ელექტრონით გაანათეს მთელი ქალაქი ტემნიკოვი, ტამბოვის გუბერნიაში.

## წერილი ციხიდან

### ახალი შიმშილობის აჩრდილი.

ჩვენი, ქუთაისის საკატორღო ციხეში ოფ კომუნისტების შიმშილობის (რომელმაც გასტანა ოთხ დღე ნახევარი) მეორე დღეს ჩვენთან გამოცხადდა ბ. გეგელაშვილი, რომელმაც ოფიციალურათ, მთავრობის სახელით გამოგვიცხადა: თქვენ საქმეს ამ კვირაში გავარჩევთ და სამ კატეგორიათ დაგანაწილებთ: ნაწილს გაგანთავისუფლებთ, ნაწილს გადაგასახლებთ და ნაწილსაც სამართალში მიგცემთო. თუმცა შიმშილობის მიზანი იყო—ჩვენი სრულიათ განთავისუფლება (წინააღმდეგ შემთხვევაში—იურიდიულათ დასაბუთებული ბრალდების წამოყენება), მარა პარტიული დირექტივის თანახმათ ჩვენ იძულებული გავხდით გაფიცვა შეგვეწყვიტა და მთავრობის ასეთ სიტყვიერ განცხადებას—და იმასაც არა დამაკმაყოფილებელს—ძალაუნებურათ შევრიგებოდით. ჩვენ ვიცოდით, რომ ასეთი სიტყვიერი განცხადება—თუგინდ „დემოკრატიული" მთავრობის სახელით, თუ გინდ მისი მომსხო აგენტი—კარიერისტის პირით—არ კმარა, საჭირო იყო უფრო რეალური გარანტია და სერიოზული თავდებობა. მარა მეტი გზა არ იყო, ბრძოლის (შიმშილობის) ხელახლა ვაჩაღება იმ ხანად აღარ შეიძლებოდა.

გავიდა ხანი და ჩვენი უცუდესი მოლოდინი გამართლდა: ერთი თვე შესრულდა ბ. გეგელაშვილის განცხადების შემდეგ, და ჩვენ მივიღეთ მისი დანაპირების მხოლოთ მცირე ნაწილის შესრულება. ამ ხნის განმავლობაში 90 კაციდან მხოლოთ 30 კაცის საქმე „გამოიძიეს"—ნახევარი გადაასახლეს საბჭოთა აზერბაიჯანში და ნახევარიც გაანთავისუფლეს. ამ 30 კაცის განთავისუფლება-გადასახლება მოხდა სხვა-და-სხვა დროს და ჯგუფ-ჯგუფათ. წარმოიდგინეთ, ისე რთულია თურმე ტყვე—კომუნისტების საქმე, რომ რამიშვილის მთავრობა (ჟორდანია ალბათ მხოლოთ—ფირმაა) ვერ ახერხებს, თუმცა ძალიან ცდილობს, ამ საქმის მოკლე ვადაში „გამოკვლევა-გამოძიებას". უნდა ვიფიქროთ, რომ დარჩენილ 50 კომუნისტის საქმეც ასეთი „ტემპით" (სიჩქარით) იწარმოებს და, მაშასადამე, ჩვენ კიდევ კაი ხანს მოგვიხდება საკანში ჯდომა.

ეხლა ვიკითხოთ: რით ხელმძღვანელობს მთავრობა, როცა იგი კომუნისტებს ასახლებს—აძევებს საქართველოს საზღვრებიდან? სამშობლოდან გაძევება—კაი მაგარი სასჯელია. რაიმე სასჯელი ყოველ სახელმწიფოში, ბურჟუაზიულ—დემოკრატიულში—მით უფრო, უნდა შეეფერებოდეს დანაშაულს რა დანაშაულობა მიგვიძღვის ჩვენ, ტყვე კომუნისტებს? არავითარი, ვინაიდან ჩვენ ვმუშაობდით, როგორც ლეგალური პარტია, საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების თანახმათ. რომ ჩვენ არავითარ არალეგალურ მუშაობას არ ვაწარმოებდით ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ეს ცხადზე უცხადესი უნდა იყოს ყველასათვის დღეს მაინც,

---

ლის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველნაირი იარაღით და საშუალებით დავალებული ქონდა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს, ე. ვანდერველდემ, ამ ბიუროს თავმჯდომარემ საუკეთესოდ მიიჩნია ჩაწიხვლა ინტერნაციონალის კონგრესების ყველა დადგენილებების, ის გახდა ბელგიის კაროლის მოხალისე მინისტრი, ანტანტას და მეფის რუსეთის გამარჯვების ორგანიზატორი და მქადაგებელი. ის, ინტერნაციონალის საბრძოლველ ორგანოს თავმჯდომარე, ბელგიელ პროლეტარების და ბურჟუაკლერიკალების ძმურ, საღვთო კავშირს ქადაგებს და მოითხოვს. ის დარბის პარიზში და სოციალიზმის სახელით ლოცვა-კურთხევას უთავაზებს ბლოკს პროლეტარიატისა საფრანგეთის ბანკირებსა და კარდინალებთან. ის სამხედრო მინისტრის კაბინეტში პატიჟობს ნიკოლოზ მეფის ელჩს თავად კუდაშოვს, მასთან ერთად იმუშავებს მიმართვას რუსეთის „სოციალისტებისადმი", რათა ყოველი დახმარება გაუწიონ მეფეს ომის წარმოებაში და ამ მიმართვას დეპეშით უგზავნის სამინისტროს საშუალებით დეპუტატ ჩხეიძეს... და დღესაც, საშინელ იმპერიალისტურ ომის ვითომდა მოთავების შემდეგ, როცა სამოქალაქო ომის ალია ავარდნილი მთელს მსოფლიოში და როცა სავსებით გამოირკვა იმპერიალიზმის ჯოჯოხეთური ბუნება, „სოციალისტი" ვანდერველდე უქვეშევრდომილესი მინისტრია კაროლ ალბერტის ® მის უწყებაში სამსაჯულოები ამართლებენ მტრის დამხმარე ბურჟუებს (ქ. ნამიურის ბურგომისტრი), ხოლო ციხეში გზავნიან მუშებს (სამხატვროს მუშა ლეჟენნი), რომლებიც კომუნისტურ ლიტერატურას ავრცელებენ.

### ქ. გიუისმანსი.

აი ვანდერველდეს მარჯვენა ხელი, ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი, მისი სული და გული. ომის დაწყებისთანავე ის არა თუ ასრულებს თავის მოვალეობას, აშკარათ ეკედლება ანტანტას კოალიციას, სათვალთმაქცოთ გადააქვს ბიურო გოლლანდიაში და ხელს უწყობს ანტანტას სახელმწიფოების „სოციალისტების" მჭიდროთ შეკავშირებას კონფერენციებზე—მარა არა ომის გასათავებლად, რასაკვირველია. ყოველი მხრიდან მომავალ პროტესტებს ბიუროს მოქმედების და უმოქმედობის წინააღმდეგ, უზურპატორი გიუისმანსი სიჩუმით უპასუხებს, რათა ორი წლის შემდეგ, როცა ანტანტას საბოლოო გამარჯვების უტყუარი ნიშნები გამოჩნდა, გოლლანდიის სოც.-დემ. პარტიის სიეზდზე გამოცხადებულიყო და გაუგონარი უტიფრობით განეცხადებია: ვინ მოსჩმახა, რომ ინტერნაციონალი დაინგრაო? თევზი წყალში მუნჯია, მარა ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის მკვდარიაო! და ასეთი უმგვანო გრიმასებით და ოხუნჯობით შეებრძოლა პროლეტარიატის წიაღში გაღვიძებულ სინიდისს, რომელმაც გამოსავალი ნახა ციმერვალდის და კინტალის ინტერნაციონალისტურ კონფერენტიაზე. ჟენევის კონგრესზე ბ. გიუსმანსი ითხოვდა გაეთავისუფლებიათ ის ბიუროს მდივნობის მოვალეობისაგან, არ ვიცით— „თავისუფალია" თუ არა ის უკვე, მარა ის კი ვიცით, რომ სულ მალე მას, სხვებთან ერთად, პროლეტარიატი მოსთხოვს სასტიკ პასუხს.

### პ. რენოდელი.

გაუგონია ვისმე ომამდის ეს სახელი? მგონი არავის. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ჰაობზე აყვავდა ბევრი შხამიანი ყვავილები. როცა დიდებული სახალხო ტრიბუნის, კეთილშობილი პაციფისტი ჟორესის გულის ძგერა შეაჩერა ბურჟუაზიის დამქაშ ვილენის ტყვიამ და როცა რენეგატი ჟ. გედი ალბერტ ტომასთან ერთად საფრანგეთის ბანკირების და მეყასბე იმპერიალისტების მთავრობაში შევიდა, მაშინ აღმობრწყინდა ბ. რენოდელის ვარსკვლავი. ის მოექცა პარტიას სათავეში და შეიქნა უერთგულესი ნოქარი საფრანგეთის ბურჟუაზიის და იმპერიალისტების. დღეს ის მიტოვებულია საფრანგეთის პროლეტარიატის მიერ, რომელმაც ზურგი შეაქცია მეორე ინტერნაციონალს და მის ბელადებს.

### რ. მაკდონალდი.

ლიდერი ინგლისის ე. წ. მუშათა პარტიის, ყოფილი წევრი დამოუკიდებელ მუშათა პარტიას, რომელიც გასულია ახლა მეორე ინტერნაციონალიდან. ომის დროს მას და მის პარტიას არ შეურცხვენიათ მშრომელთა დროშა იმპერიალისტური ომისთვის მხარის დაჭერით. ის ილაშქრებდა ომის წინააღმდეგ, მარა ილაშქრებდა პაციფისტურად. არც წინეთ მდგარა ის კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე და ახლაც ვერ შეუთვისებია ის ერთად ერთი სწორი აზრი, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ მხოლოდ სოციალისტური რევოლიუცია გამოდგება ნამდვილ იარაღათ, რომ ომიანობის მოსპობა არ ძალუძს არავითარ ქადაგებას, არავითარ პაციფისტურ მოძრაობას, თუ დამხობილი არ იქნა მთელი კაპიტალისტური სისტემა. რევოლიუციონური აზროვნება არ ეკარება მაკდონალდს, ის კეთილი ხუცესივით ფიქრობს, რომ „მშვიდობა ყოველთა" თუ დაიძახა ხალხმა, მართლაც დამყარდება ეს მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. და საჭირო აღარ იქნება ვითომ ლოიდ-ჯორჯების და მის მფარველობის ქვეშ მყოფი ბურჟუაზიული სისტემის რევოლიუციონური ძირს ჩამოგდება.

* * *

აი რა სტუმრები ეწვევიან დღეს საქართველოს ნაციონალ-სოციალისტებს.

რა მოაქვთ მათ? ის, რაც მრავლის უმჯავლესია საქართველოში: რენეგატობა, მშრომელი ხალხის სისხლითა ინტერესების მსხვერპლად შეწირვა ბურჟუაზიისათვის „დემოკრატიზმის" საფარველს ქვეშ.

შეგვიძლია ჩვენ მათ შევეგებოთ, მათ მივესალმოთ? რასაკვირველია არა.

როცა გერმანიას ესტუმრა ამერიკელი გომპერსი, სოციალისტის სახელის გამრყვნელი და წამბილწველი, რომელიც ერთ და იმავე დროს ამერიკის მუშათა ფედერაციის თავმჯდომარეც იყო და კაპიტალისტების კავშირის გამგეობის წევრიც, კ. კაუცკიმ მას მიმართა ასე: კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, მუშათა ფედერაციის თავმჯდომარე — გზა ხსნილი გაქვთ აქედან დასაკარგავად მწარმოებელთა გამგეობის წევრო!

ჩვენ ამასაც ვერ ვეტყვით მენშევიკების სტუმრებს, ბიბლიის პირმოთნე და ზარმაც მონამ მიწაში დაფლა თავისი ტალანტი და არ აამუშავა ის რაიმე ღირებულების შესაქმნელად. მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა კი მთელი თავისი ტალანტი ბურჟუაზიის ტახტთან მიიტანეს და მის საქმეს მოახმარეს ალტაცებით, თავდავიწყებით. ამიტომ ჩვენი სულის და გულის ამოძახილია: ძირს გაკოტრებული მეორე ინტერნაციონალი! გაუმარჯოს პროლეტარულ, კომუნისტურ ინტერნაციონალს!

**ნ. გექტორი.**

როცა მთავრობამ, ჩვენი გაფიცვის საპასუხოთ, ჩვენი კატეგორიებათ (ჯგუფებათ) დაყოფა დაიწყო. გაფიცვამდე ჩვენ ყველას რიხიანათ ბრალს გვდებდენ არალეგალურ მუშაობაში (შეიარაღებული აჯანყებისთვის მზადება და სხ.). და ყველას სამართალში მიცემას გვპირებდენ. ეხლა კი დღესავით ნათელია, რომ ყველა ეს ვითომდა ბრალდებები—საპნის ბუშტი გამოდგა. მიუხედავად ამისა, ყოვლის შემძლებელი „დემოკრატიული" მთავრობა ჩვენ მაინც გვსჯის, საქართველოდან გვაძევებს. რისთვის? პასუხი ერთადერთია: **მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტობისთვის.** რომ ეს ასე არ იყოს, ჩვენ მთავრობას უნდა სრულიათ გავენთავისუფლებიეთ, ვინაიდან ჩვენი არალეგალური, საიდუმლო მუშაობა ყოვლად უსინდისო ცილისწამება და ჩმახვა გამოდგა. ეს ასეა, მარა მთავრობა შეეცდება პირი დაიმშვენოს და სთქვას: ზოგიერთ ტყვე-კომუნისტებს საქმის „საფუძვლიანად გამოძიების" შემდეგ ხომ სრულიათ ვანთავისუფლებთო. ეს მართალია. მარა ეს აიხსნება იმ გარემოებით რომ მთავრობა ლეგალურათ მომუშავე, კომუნისტებს (ე. ი. მთელ კომუნისტურ პარტიას) სრულიათ მარტივი ანგარიშით ორ კატეგორიათ ჰყოფს: უფრო საშიშს და „მავნე" კომუნისტებს თავიდან იშორებს და სამშობლოდან აძევებს; ხოლო ნაკლებათ საშიშს კი ანთავისუფლებს მანამდე, სანამ ეს უკანასკნელნი უფრო საშიში და უფრო „მავნე" არ გახდებიან, რომ იმ წამსვე ციხეში უკრან თავი.

დიდი სასჯელია ადამიანისათვის სამშობლოდან (თუ გინდ ეს სამშობლო ჯერჯერობით ბურჟუა-სპეკულიანტების საჯიჯგნიც იყოს), როგორც შეჩვეული ადგილიდან, ცინიკურ-უტიფარი ძალით გაძევება. ჭეშმარიტი კომუნისტი ყოველ ჟამს მზათაა თავის ნებით დასტოვოს სამშობლო და გადასახლდეს სხვა ქვეყანაში, თუ ამას მოითხოვს პარტია და კომუნისტური რევოლიუციის ინტერესები. მარა კიდევ უფრო დიდი სასჯელია, უფრო მწვავე და აუტანელია ტუსალი-რევოლიუციონერის გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა. მთავრობამ ეს კარგათ იცის და მიტომაც აჭიანურებს ჩვენ საქმეს. ის მიმართავს მეთოდს, რომელსაც რუსულად ჰქვია: „Не мытьем, так катаніем".

ეს იყო მთავრობის და მისი აგენტების თავი და თავი მიზანი, შურისძიების მიზანი ჩვენ მიმართ. ამ მიზნის მისაღწევად იგი მიმართავს სხვა და სხვა „ტაქტიკურ" ზომებს. მენშევიკები თავის ბატონობის პირველ ხანაში მტკიცედ და სავსებით, ყოველგან და ყოველთვის ატარებენ იეზუიტების ძირითად ტაქტიკურ პრინციპს: მიზანი ამართლებს ყოველგვარ საშუალებას. მათი უპირველესი და საბოლოო მიზანია—კომუნიზმის დათრგუნვა-გაცამტვერება—ყოველგან და კერძოთ, განსაკუთრებით ჩვენ პატარა საქართველოში მაინც. ამისთვის კი ისინი მიმართავენ ყოველგვარ საშუალებას, ე. ი. მათთვის სულ ერთია, როგორია ეს საშუალება: პატიოსნური თუ უპატიოსნო, სამართლიანი თუ უსამართლო, ზნეობრივი თუ უზნეო, ლამაზი თუ საზიზღარი, მუშურ-პროლეტარული, თუ ბურჟუაზიულ-სპეკულიანტური, ოღონდ მიზანს კი აღწევდეს.

ამნაირათ ბ. გეგელაშვილის სიტყვა ყალბი გამოდგა; იგი დაგვპირდა საქმის ერთი კვირაში „გამორკვევას", ნამდვილათ კი—მთელი თვეობით გვპირებენ ციხეში გაჩერებას. იგი დაგვპირდა ერთ კვირაში ჩვენ ყველას შესახებ საქმის გამორკვევას. ნამდვილათ კი საქმეს „იძიებენ" ნაწილ-ნაწილათ, ჯგუფ-ჯგუფათ. ეს კიდევ ცოტაა: გადასახლებულ ამხანაგებს საზღვარზე კიდევ ტანჯვა-წვალება განუცდიათ ამავე მთავრობის წყალობით, რომელსაც სათანადო „პროპუსკი" არ მიუცია მათთვის. აქვე საჭიროა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი ლამაზი საშვალება, რომელსაც მიმართა მთავრობამ, რომ ცოტათი მაინც თავი გაიმართლოს აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობის და ქვეყნის თვალში: გადასახლებულ ამხანაგებისაგან მოითხოვენ ხელწერილს იმაში, რომ ისინი თანახმა არიან გავიდენ საქართველოს საზღვრებიდან. ამით მთავრობა ამაოთ ცდილობს ბურუსში გახვიოს ცოცხალი სიმართლე და უდაო ჭეშმარიტება, რომ კომუნისტებს ტლანქი ძალით აძევებენ სამშობლოდან მხოლოთ და მხოლოთ ლეგალური მუშაობისათვის. ამით იგი ამაოთ ცდილობს დაფაროს ის ჭეშმარიტება, რომ გადასახლებული ამხანაგები თვითონ მან დააყენა ორი ბოროტების წინაშე: ან ციხეში ყოფნა „ადმინისტრატიულათ", ე. ი. განუსაზღვრელ დროის განმავლობაში, ან და წვრილ-ბურჟუაზიულ რესპუბლიკის საზღვრებიდან გასვლა. ასეთია მდგომარეობა იმ ამხანაგების, ვისი საქმეც მთავრობამ უკვე „გამოიკვლია".

ბევრათ უფრო ძნელი და აუტანელია ჩვენი მდგომარეობა, რომელთა საქმე კიდევ გაურკვეველია. ჩვენ ყოველგვარ სასჯელს შეურიგდებით გარდა ერთისა: ჩვენ ვერ შეურიგდებით ადმინისტრატიულათ ციხეში ჯდომას, მეტადრე დღეს, როცა ყვენ წინააღმდეგ ვერავითარ ბრალდებას ვერ აყენებენ. ჩვენ ვამბობთ: დეე დაგვსაჯონ, როგორც უნდათ, მხოლოთ დროზე გვითხრან სიმართლე: რისთვის გვსჯიან და როგორია ეს სასჯელი. ჩვენი მდგომარეობა დღეს კიდევ უფრო მწვავე და აუტანელია, ვიდრე ერთი თვის წინეთ იყო, როცა ჩვენ იძულებული ვიყავით შიმშილობისთვის მიგვემართა. მაშინ ამ საშინელ პროტესტს ნაყოფათ მოყვა მთავრობის დაპირება, რომელიც თავის შინაარსითაც ჩვენ სრულიათ არ გვაკმაყოფილებდა, მარა ეს ფუჭია, დაპირებაც თითქმის სავსებით ტყუილი გამოდგა. ცხადია, ეს გარემოება უაღრესათ ამწვავებს საქმეს. საჭიროა, მთავრობამ საჩქაროთ შეასრულოს თავისი დანაპირები, ე. ი. გაგვაგებიოს ყველას ერთად (და არა თითო-ოროლა ამხანაგს), როგორია მისი განაჩენი ჩვენ შესახებ. ჩვენ კარგათ ვაცით, რომ მას გამოსაძიებელ-გამოსაკვლევი ჩვენ შესახებ არაფერი აქვს. მისთვის ისევე ნათელია ჩვენი უდანაშაულობა (მხოლოთ ლეგალური მუშაობა), როგორც ჩვენთვის. საჭიროა მთავრობამ დაუყონებლივ გვითხრას, რას გვიპირებს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ მთავრობა თავისას არ მოიშლის და ჩვენდამი ტირანიულ მოპყრობას ბოლოს არ მოუღებს, ჩვენ წინ ხელახლა დადგება ყოფნა-არყოფნის საკითხი, შიმშილობის საშინელი აჩრდილი. სხვა გზა ჩვენთვის არ არსებობს. ეს ჩვენი საქციელი პირდაპირი ნაყოფი იქნება მთავრობის ინკვიზიტორული პოლიტიკის. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ახალი შიმშილობა იქნება უფრო მწვავე, თავგანწირული და შეუჩერებელი. ესეც კარგათ გაითვალისწინოს მენშევიკურმა მთავრობამ.

თავის მტერი.

# მუშათა ცხოვრება.

### ტუსალის განცდა.

დეე, მდიოს ტანჯვამ გვერდით
მდიოს, მანამ შემწევს ძალი,
იმღელვაროს ცხოვრების ზღვამ
და მომასხას წყლულზე შხამი!

ვიამაყებ, ვიგმირგულებ.
არ შევდრკები ვით ლაჩარი;
ვიამაყებ, ვიგმირულებ
წინ-წინ გავსწევ ვით აფთარი!

იმღელვარე ცხოვრების ზღვავ,
და მომასხი შხამი წყლულზედ,
ვიამაყებ, ვიგმირგულებ
ქედს არ მოვხრი, გასკდი გულზე!

მე ხომ ვიცი რისთვის!? რატომ?!
მიპირებენ ჩაქოლვასა
და კისერზე უღლის დადგმას,
ისე, როგორც სხვა მონასა.

არ მაშინებს ტყვია, ხიშტი,
სახრჩობელა, ბორკილები,
რადგან გვერდით მეგულება
ამხანაგნი ლომ-გმირები!!

ალია.

ქ. საგუბერნიო ციხე
25 აგვისტო.

### ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი

ეკონომიური მდგომარეობა მუშა-მოსამსახურეების სახელმწიფო-დაწესებულებებში საერთოთ, კერძოთ ფოსტა-ტელეგრაფისა, რაც დრო მიდის სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს; რესპუბლიკაში ფრთა-შესხმულ სპეკულიაციას, არამც თუ დაეწევა მუშა მოსამსახურეების სრულიად უმნიშვნელო პროცენტებით გადიდება ჯამაგირებისა, პირ-იქით: პირველის გიგანტისებური ნაბიჯებით ზრდა, მეორისათვის სრულიად წარმოუდგენელ უფსკრულს თხრის.

აი ასეთ ყოვლათ შევიწროებულ ხანაში იმყოფება ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურენი. რასაკვირველია არიან მოსამსახურეებში ისეთები, რომლებსაც სამსახურს გარეთ აქვთ სოფლიდან, ან სხვა რაიმე წყაროდან დახმარება, მაგრამ ეს შეადგენს ძალიან უმცირესობას და გადაჭარბებული უმრავლესობა „ოცის" რიცხვებზე ამყარებს თავის ჭირსა და ლხინს.

როგორც სხვა დაწესებულებები, ჩვენც ვღებულობთ სულზე თითო გირვანქა პურს, „სისტემატიურათ" კვირა უქმე დღეების გარდა თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ კვირაში ხუთჯერ-ექვსჯერ პური სრულებით არ გვეძლევა, ან თუ როდისმე შეცდომით გამოაცხობენ ჰადს, რომელსაც შეგნებული ოჯახიშვილი ძაღლს არ კადრებს საჭმელათ, მიუხედავათ სურსათის ასეთი კრიზისისა.

მაშასადამე ბუნებრივათ დაისმის კითხვა: მაშინ, როდესაც ბაზარზე ფქვილი ორი ათას მან. მეტი ფასობს ფუთი და მიღებული ჯამაგირები, ყოველ-ნაირ დამატებებით, ორ-სამ ფუთის მეტს ვერ გაცილდება, რა საშვალებებით უნდა გაიტანოს თავი თვიდან თვემდე? სიმშილის მოთმენა შეუძლებელია და, თუ რაიმე გააჩნდა მოსამსახურეს სიეფეში შეძენილი, იძულებული გახდა გაეყიდა და დღესაც ყიდის; მაგრამ შემდეგ?

ასეთ დროს ჩვენი ინტერესების დამცველი სარაიონო გამგეობა პროფესიონალურ კავშირისა (არსებითად სოც.-დემოკრატიული კოლექტივი) სდუმს. ან როგორ შეიძლება, რომ მთავრობას აწყენიოს, თუ გინდ მდგომარეობა გაუარესდეს. შექმნილ ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში არიან ისეთებიც, რომლებსაც აქვთ უნარი უსამართლობასთან ბრძოლისა, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ კორპორაციის უმეტესობა მათ მხარეზეა, მათი სამართლიანი მოქმედება, გაბატონებული პარტიის მიერ, ყოველივე მხრით შეკვეცილია; მათი ასეთი უმსგავსო მოქმედებისათვის განიცდიან დღეს მოსამსახურენი ასეთ წარმოუდგენელ მატერიალურად კრიტიკულ მდგომარეობას.

ამას წინათ ლ—ძის ინიციატორობით მოსამსახურეებს, შემადგენლობის ნახევარზე მეტის ხელის მოწერით, განცხადება შეიტანეს სარაიონო გამგეობაში, ეკონომიურ საკითხზე მჯელობისათვის კრების მოწვევის შესახებ. მაგრამ რაღაც „უხერხულათ" დაინახა გამგეობამ კრების მოწვევა და ჩვენი სამართლიანი განცხადება მტვრის ყუთის ღირსი გახადა.

განა მათ აქვთ უფლება ასეთი თავაშვებული მოქმედებისა?

განა დემოკრატიულ ქვეყანაში მსგავსი რაიმე უნდა ხდებოდეს?

ჩვენ კარგათ გვესმის თუ რა აშინებს მათ. კარგათ ვიცით თუ როგორი გავლენა აქვთ და როგორი ნდობით არიან აღჭურვილი. კრების ეშინიათ, ვინაიდან მათ მოღვაწეობის შავ ფარდის ამხდელი იქნება და მოელით ისეთივე დამარცხება, როგორც ორი-სამი თვის წინათ განიცადეს: მოსამსახურეების გაფიცვა, რომელიც მათი უნდობლობის გამოაშკარავებული იყო.

მაშინ, როდესაც რკინის-გზის მოსამსახურეები თეთრ პურს ღებულობს, ჩვენ შავი პურის ღირსადაც არ გვხდიან. რისთვის უნდა ხდებოდეს მსგავსი უწესოება?

— ჩვენ სახელმწიფოს უკანონო შვილები ვართ ალბათ!

ადგილობრივი ხაზინის მოსამსახურეებმა არა ერთხელ მიმართეს ჩვენი პროფესიონალური კავშირის „მოღვაწეებს",—თუ როგორ მოვიქცეთ პურის საკითხის მოგვარებაშიო.

მათი ხმა დარჩა „ხმათ მღაღადებლი სა უდაბნოსა შინა".—უკანასკნელი ხაზინის მიმართვა ეს მოწოდება იყო ყველა დაწესებულებისადმი ბრძოლა პირობების გაუმჯობესობისათვის.

ასეთი მოწოდება, როგორც გამოირკვა, ჩვენმა სარაიონო გამგეობამ, როგორც ჯაშუშობაში გამოცდილმა წარუდგინა შრომის კომისარს: „შეხედეთ როგორი კონტრ-რევოლიუციონური განყოფილებააო"—ალბათ ასე მონათლეს.

ასეთ მდგომარეობას განვიცდით. სამართლიანად თუ დაილაპარაკე—„სამშობლოს მოღალატე"—„კონტრ-რევოლიუციონერი"—„ბალშევიკი"—ღმერთმა იცის რათ არ მოგნათლავენ.

ბატონებო! სანამდის გინდათ თელოთ მუშების ინტერესები?

ნუ თუ გგონიით სულ შეგრჩებათ ბატონობა?

ჩვენი ბრწყინვალე მომავალი ღირსეულ პასუხს გასცემს თქვენებრ „ჭეშმარიტ მოღვაწეებს".

მიშელ არდანი.

### ფაქტების გაყალბება თუ დადასტურება

ფოთის ნავთ სადგურის მუშათა კავშირის გამგეობას არ მოსწონებია ჩვენი წერილი „ახ. კომუნისტის" № 25 მოთავსებული და „ერთობის" № 198 გრძელი უშინაარსო წერილი მოუთავსებია. შეთანხმება, რომ უმუშევრები არიან, მხოლოდ ჩემ მიერ დასახელებული რაოდენობა გადაჭარბებულათ მიაჩნია. ის ვერ ხედავს იმ უმუშევრებს, რომლებიც მას ცხვირში არ სცემს. საზოგადოდ მოგვითხრობს უმუშევრები არიან და ხშირათ კავშირის წევრებიც ვერ შოულობენ სამუშაოს, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართო! თქვენ ხომ არაფერ შუაში ხართ და თქვენ რომ უპასუხისმგებლო ბრძანდებით, ამაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება. მაგრამ თუ ჩვენ, საზოგადოთ, ავღნიშნავდით, ფოთში და სხვაგან, უმუშევრთა სიმრავლეს და მათ უმწეო მდგომიარეობას, ამით მიუთითებდით საზოგადოებას გამომწვევ მიზეზებზე, ე. ი. მართველ პარტიის უვარგის პოლიტიკაზე. მათ ვსდებთ ჩვენ ამაში ბრალს და არა თქვენისთანა მეცამეტეს! სიყალბეა იმის მტკიცება ვითომ მუშები უმწეო მდგომიარეობაში იყოსო, მათ ჩვენ ფუთ ნახევარი სიმინდი დაურიგეთო! სინამდვილეში კი თქვენ მათ თითო ფუთი დაურიგეთ, ისიც ყველას არ შეხვედრია ეს ერთი, მეორე, თუ კარგს მდგომიარეობაშია მუშები, რატომ გაფიცვა დღის წესრიგში დასმულა, რაც მე ხაზ გასმით აღვნიშნე, ხოლო თქვენ, თქვენს ვრცელი „კავშირის სახელით" დაწერილ წერილში კრინტსაც არ სძრავთ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ბ. ქორქია, თქვენს წერილს არაფერი საერთო კავშირი არ აქვს. შემდეგ მე ვამბობდი, რომ ერთ დროული დახმარება 1200.000 მანეთი დაუკავეს მუშებს სახლის სასარგებლოთ. თქვენ აქ „ტყუილში" მიჭერთ და ამბობთ: ივლისის არ დაუკავებიათ, ივნისის გადადვეს სახლის სასარგებლოთო. რა შუაშია აქ ივნისის ან ივლისის, რომ ეს ფულები დაუკავეთ სახლის სასარგებლოდ, ამას თქვენ ადასტურებთ და „ტყუილში" მეთანხმებით, სირცხვილი თქვენი! თქვენ წერთ, არავის ორი დღის ნამუშევარი „ზედ არ მიუყოლებია" სახლის სასარგებლოთო. თუ რა მიზნით იყო დაკავებული, თუ სულ არ დაგიკავებიათ ამაზე თქვენ პირში წყალს იგუბებთ. მარტო „სირცხვილია" „ტყუილის" ძახილი კი არ კმარა; თქვენ ტყუილს არქმევთ იმას, რაც მე არ დამიწერია. თქვენ სწერთ, რომ ტყუილია ისიც ვითომც მენშევიკს მეგრელიძეს აგიტაცია გაეწიოს ივნისის ერთ დროული დახმარების წინააღმდეგ უკანასკნელ გამგეობის კრებაზეო და არც კობახიძეს დაუძახია „ან შენ და ან მეო". არა ბ-ნო ქორქია, ის უბრალო წერილი კი უნდა გაგეგოთ და თუ ვერ გაიგეთ მაშინ პასუხისთვისაც თავი უნდა დაგენებებიათ. მე ვსწერდი: მეგრელიძე წინააღმდეგი იყო (კრება არ დამისახელებია) საზოგადოთ ამ სახლის მუშების უმნიშვნელო ჯამაგირებით აშენების. ეს მან გამოსთქვა (ეხლა ვასახელებ) საზოგადო კრებაზე სადაც ბ. კობახიძემ დაუყვირა „ან შენ და ან მეო" და ათასჯერ რომ ივაროთ თქვენ და თქვენმა კომპანიამ ფაქ-ფაქტად დარჩება.

რაც შეეხება 700.000 მანეთს ამაში თქვენ მეთანხმებით და უფრო დაწვრილებით სწერთ, თუ როგორ შეგიწუხებიათ სამინისტრო, სატარიფო პალატა, ათასი ჯურის კომისიები და სხვა, ხოლო რომ ეს მუშებმა გაფიცვის მუქარით შეინარჩუნეს, ამაზე თქვენ კრინტსაც არ სძრავთ; ვერც ის ფაქტი დაარღვიეთ, რომ 37 ვაგონი შავი ქვა გადმოატვირთვიეთ მუშებს და ზედმეტი ფულიდან გინდოდათ მისი გამოქვითვა, რომ გაფიცვის ულტიმატუმს არ შეეშალა ხელი მასთან აქამდისაც არ გაგისწორებიათ ანგარიში მუშებისთვის.

დასასრულ დიდი რიხით და მენშევიკური თავმომწონეობით აცხადებთ, რომ ამ სახლის წინააღმდეგ დიდ აგიტაციას ეწეოდენ ვითომ ადგილობრივი ბოლშევიკები. კეთილ ინებეთ და, თუ გინდ ერთი ბოლშევიკი მაინც დაგვისახელეთ თქვენ ან ბ. თეკლათელმა (რომელიც „ერთობის" № 201 მოწინავე წერილით გამოილაშქრა და დაიმოწმა ინგლის-საფრანგეთის ანარხისტ-სინდიკალისტები თავის აღშენებლობითი მუშაობაში), რომელიც ან თქვენი სახლის ან გაფიცვის სასარგებლოთ აგიტაციას ეწეოდეს. შეიძლება ის მიგაჩნიათ აგიტაციათ, რომ ვსწერდით მუშები წინააღმდეგია თავის უმნიშვნელო ჯამაგირებით სახლის აშენებისო. ეს არ გახლავს ბალშევიკური აგიტაცია. ეს არის საზოგადო, საერთო აზრი ყველა მუშებისა განურჩევლათ პარტიული მიმართულებისა. აი რას ამბობენ ისინი: ჩვენ საკმაო რიცხვი ერთი და ორსართულიანი სახლებიც გვაქვს ფოთში აშენებული, ჩვენი შრომით, ოფლით, ჩვენი მარჯვენათი; და როდესაც თავისუფლებას ვღირსებით (სიტყვით კი არა, საქმით), მაშინ ქუჩებიდან და ბნელი სარდაფებიდან უშიშრათ და უსასყიდლოთ შევალთ შიგო! არა, დარწმუნებული და დამშვიდებული იყავით, ბ.ბ. ქორქიებო და თეკლათელებო, არც ერთი კომუნისტი ისე თავს არ დაიმცირებს, ისე არ დაწვრილმანდება თქვენსავით, რომ ასეთი თქვენი ფაცხების წინააღმდეგ აგიტაცია გასწიოს. არაფერს დიდ აღმშენებლობითი მუშაობას თქვენსას მაგაში და არც სხვაში არ ვხედავთ.

Yita.

### სალამი სამტრედიის მუშებს

ამხანაგებო, სამტრედიის მუშა-მოსამსახურენო! გიძღვნით სალამს, გიცხადებთ თანაგრძნობას თქვენი იდეიური მუშაობისას, ვიმედოვნებთ მეგობრებო, თქვენ არ დაუთმობთ უსამართლობას ადგილს, და მათ ბუდეს. ყოველი მათი უმსგავსო მოქმედება აშკარაა ჩვენთვისაც და ჩვენც გვირევია ისეთები, როგორიც იყვენ თქვენი ბ. კიკაბიძეები და მათი კამპანია. თქვენ არ დარწმუნდეთ, რომ თქვენ წინააღმდეგ თბილისის კვანძის რომელიმე მუშას ამოეღოს ხმა. არა, და არა. და არც ყოფილა მასაში ასეთები გადმოტანილი. და თუ გაბედა, ან გაბედოს ვინმემ თქვენს წინააღმდეგ ენის დაძვრა, იცოდეთ ისინიც მათი ამხანაგებია.

იყავით გამარჯვებული ბრძოლაში ნამდვილი მუშათა ინტერესების დასაცველათ. გაუმარჯოს მუშას და მის ძალლონეს. გაუმარჯოს სიმართლეს.

მთავარ სახელოსნოების და დეპოს, აგრეთვე თბილისის კვანძის ერთ მუშათა ჯგუფის მონდობილობით **ნ. ც—ლი.**

# ფონდი

სტეფანე ზაქრაძემ შემოსწირა გაზეთ „ახალ კომუნისტის" ფონდს 200 მანეთი თავის გადაცვლილი შვილის, შალვას ზაქრაძეს ხსოვნის აღსანიშნავად.

მიღებულია ქ. თფილისის მესამე რაიონის მე-8 იაჩეიკისაგან გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ 500 მანეთი.

### მთავარი შეცდომის გასწორება.

კვირის №-ში მეთაურს ასეთი სათაური აქვს: „ბაქოს კომუნისტები",—უნდა იყოს—ბაქოს კომუნარები. ამავე გვერდზე მესამე წერილში (ტოლნი არიან) 18 სტრიქონის ქვემოთ სწერია: „ზეიმის მიერ",—უნდა იყოს—სეიმის—მიერ და სხვა.

დრ. რედაქტორი:
დიმიტრი ჯორბენაძე.